სარეკომენდაციო წერილი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხელმძღვანელობას

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდისთვის
კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების აუდიტის ანგარიში

29 მარტი, 2024 წელი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის მინისტრს
ბატონ ირაკლი ქარსელაძეს

ბატონო ირაკლი,

მოგეხსენებათ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად გაიცა პირობითი დასკვნა.

აუდიტი ჩატარდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების საპასუხოდ, წარმოგიდგენთ ჩვენს რეკომენდაციებს და ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვან სხვა ინფორმაციას.

მიმდინარე აუდიტის ფარგლებში და წინა პერიოდის აუდიტების შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების შედეგები ასახულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემაში – ARIS (www.aris.sao.ge).

პატივისცემით,

ცოტნე ყავლაშვილი

გენერალური აუდიტორი

შინაარსი

ტერმინები და შემოკლებები 3
1. რეკომენდაციები 4
2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები 9
3. კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობის საკითხები....13
4. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა ..14
საკონტაქტო ინფორმაცია 16

ტერმინები და შემოკლებები

სამინისტრო – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

აღრიცხვის ინსტრუქცია – „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

დეპარტამენტი – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

ფონდი – სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

ცენტრი – სსიპ – ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი.

ცვეთის ინსტრუქცია – საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“.

ინვენტარიზაციის ინსტრუქცია – საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის N364 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“.

1. რეკომენდაციები

მატერიალური მარაგები

აუდიტის მიგნება	**დეპარტამენტის** ფინანსურ ანგარიშგებაში „მატერიალური მარაგების“ მუხლის ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 5,696,555 ლარს, საიდანაც 3,277,516 ლარის მარაგი წარმოადგენს დროებით ხიდებს, რომლებიც გამოიყენება მრავალჯერადად. აღნიშნული ხიდები აკმაყოფილებს ძირითადი აქტივის აღიარების კრიტერიუმს.[1]
მიზეზი	აღრიცხვის არასათანადო პრაქტიკა.
გავლენა	„მატერიალური მარაგების“ მუხლი ზედმეტობითაა წარმოდგენილი, ხოლო „ძირითადი აქტივების“ – შემცირებულია.
რეკომენდაცია	**ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, მიზანშეწონილია დეპარტამენტმა „მარაგების“ მუხლში აღრიცხული დროებითი ხიდები შეაფასოს სამართლიანი ღირებულებით, განსაზღვროს შესაბამისი მომსახურების ვადა და აღრიცხოს „ძირითად აქტივად“.**
კომპონენტი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

ძირითადი აქტივები

აუდიტის მიგნება	**დეპარტამენტისათვის** 2022 წელს სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოსგან გადმოცემულია 188 ერთეული მიწის ნაკვეთი,[2] ფართობით – 310,091 კვ.მ. აღნიშნული აქტივები სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ არ იყო ღირებულებით შეფასებული.[3] შესაბამისად, დეპარტამენტის მიერ მიწის ნაკვეთების მიღებისას აქტივების ღირებულებად განსაზღვრულია მხოლოდ სახელმწიფო ტყის სტატუსის შეწყვეტის საკომპენსაციო საფასურით და არ არის განსაზღვრული მათი სამართლიანი ღირებულება.
მიზეზი	აღრიცხვის არასათანადო პრაქტიკა.
გავლენა	„ძირითადი აქტივების“ მუხლი შემცირებულადაა წარმოდგენილი.
რეკომენდაცია	**ფინანსურ ანგარიშგებაში გადმოცემული შეუფასებელი მიწების აღრიცხვისათვის საავტომობილო გზების დეპარტამენტმა განსაზღვროს სააღრიცხვო პოლიტიკა და გადმოცემული მიწები შეაფასოს სამართლიანი ან ნორმატიული ღირებულებით.**
კომპონენტი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

[1] სსბასს 17, მე-14 და მე-17 მუხლები.

[2] ტყის ფონდი.

[3] არ იყო თვითღირებულება განსაზღვრული.

აუდიტის მიგნება	2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები შეადგენს 177,141,498 ლარს, საიდანაც 96% საგზაო მაგისტრალების წლიური ცვეთის ხარჯია. ცვეთის ინსტრუქციით დადგენილია საავტომობილო გზების სასარგებლო მომსახურების ვადები, გზის საფარის სახეობების მიხედვით. ბალანსზე ასახული გზების ნაწილი შედგება მონაკვეთებისგან, რომლებიც შესაძლოა ერთდროულად მოიცავდეს განსხვავებული სახეობის გზის საფარს. დეპარტამენტი ცვეთის ხარჯის დათვლისას არ ითვალისწინებდა გზის კონკრეტულ მონაკვეთზე სხვადასხვა სახეობის საფარის არსებობის ფაქტს და მთლიანი მონაკვეთისთვის ცვეთას ითვლიდა გზის ერთ-ერთი საფარისთვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადით. უნდა აღინიშნოს, რომ დეპარტამენტმა გაითვალისწინა აუდიტის სამსახურის რეკომენდაცია და აღნიშნული მონაკვეთებისთვის განსაზღვრა სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები და შესაბამისად, გადათვალა 2021 და 2022 წლების პერიოდის ცვეთის ხარჯი, თუმცა აღნიშნული მიდგომით არ დაუკორექტირებია შესაბამისი მაგისტრალების 2021 წლამდე „დაგროვილი ცვეთა“, რაც გავლენას ახდენს „ძირითადი აქტივების“ მუხლის საბოლოო ნაშთებზე. ასევე, ცვეთის ხარჯის გადათვლის შედეგად გამოვლინდა სხვაობები, კერძოდ, ძირითადი აქტივის ერთ ნაწილზე ცვეთა ზედმეტად[4] იყო დარიცხული, ნაწილზე კი – ნაკლებობით.[5] საერთო ჯამში 2022 წელს ზედმეტად დარიცხულმა ცვეთამ 1,977,579 ლარი შეადგინა.
მიზეზი	აღრიცხვის და ცვეთის ინსტრუქციების მოთხოვნების შეუსრულებლობა.
გავლენა	„ძირითადი აქტივების“ და „დაგროვილი ცვეთის“ მუხლები არასწორადაა წარმოდგენილი.
რეკომენდაცია	**ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი აქტივების და დაგროვილი ცვეთის სამართლიანი აღრიცხვისათვის, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა გადაიანგარიშოს წინა პერიოდებში არსებული ცვეთის თანხები ინსტრუქციით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, თუ შეუძლებელია აღნიშნული დაასაბუთოს და განმარტოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.**
კომპონენტი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

ინვენტარიზაცია-გაუფასურების ტესტირება

აუდიტის მიგნება	**დეპარტამენტსა და ფონდში 2022 წელს ინვენტარიზაციის პროცესს ახლდა რიგი ნაკლოვანებები, კერძოდ:** • ფონდსა და დეპარტამენტში წლიური სავალდებულო ინვენტარიზაცია არაა დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და გამოვლენილი შედეგები[6] არ არის გათვალისწინებული 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში;

[4] 2,299,461 ლარი.

[5] 321,882 ლარი.

[6] ჩამოსაწერ, დაზიანებულ ან დაკარგულ აქტივებთან დაკავშირებით.

- ფონდში ძირითად აქტივებზე არ არის გადახედილი სასარგებლო მომსახურების ვადები და 1,026,678 ლარის ისტორიული ღირებულების და 68,804 ლარის ნარჩენი ღირებულების მქონე აქტივები სრულადაა გაცვეთილი;
- ფონდში შედარების უწყისებს თან არ ახლავს ინვენტარიზაციის ინსტრუქციის დანართი – ფორმებით გათვალისწინებული მატერიალური პასუხისმგებელი პირების ხელმოწერები;
- ფონდსა და დეპარტამენტში ინვენტარიზაციის დაწყებამდე საინვენტარიზაციო კომისიისათვის წერილობითი ფორმით არ არის წარმოდგენილი ბუღალტრული ან შესაბამისი სამსახურიდან აქტივების ან ვალდებულებების რეესტრი,[7] დეპარტამენტში აქტივების და ვალდებულებების ფაქტობრივი მონაცემები ამოღებულია საინვენტარიზაციო აღწერების დასრულების შემდგომ;
- ფონდსა და დეპარტამენტში ინვენტარიზაციის პერიოდში მიღებული და გასული არაფინანსური აქტივების აღწერის დოკუმენტი არაა შედგენილი.[8]
- ფონდში დაკარგულ აქტივთან დაკავშირებით, რომლის ისტორიული ღირებულება შეადგენდა 4,452 ლარს, ხოლო ნარჩენი ღირებულება – ნულს, არ არის შედგენილი გადახრების და შედეგების უწყისი.[9]
- ფონდსა და დეპარტამენტში საინვენტარიზაციო აღწერების დროს სრულყოფილად არ ხდება აქტივების ფიზიკური მდგომარეობის, აქტივების ფლობის/სარგებლის მიღების, გამოყენების საკითხების შეფასება;
- 2022 წელს ფონდსა და დეპარტამენტში დაუმთავრებელ მშენებლობებზე არ ჩატარებულა გაუფასურების ტესტირება, მაშინ როდესაც ფონდში 2022 გაუფასურების მაჩვენებლები მოდიოდა 9,927,896 ლარის[10] დაუმთავრებელ მშენებლობებზე, ხოლო დეპარტამენტის ბალანსზე ირიცხებოდა 73,266,438 ლარის[11] დაუმთავრებელი მშენებლობები, რომლებზეც 2021-2022 წლებში არ ჩატარებულა სამშენებლო სამუშაოები;
- დეპარტამენტში დაუმთავრებელ აქტივებთან დაკავშირებით არ არის შედგენილი შედარებითი უწყისი[12] და გამოყვანილია მხოლოდ ფაქტობრივი მონაცემები;
- სამინისტროს განმარტებით, დეპარტამენტი ყოველწლიურად უზრუნველყოფს საგზაო მაგისტრალების ფიზიკურ დათვალიერებას და გზების მდგომარეობის დადგენას საველე ლაბორატორიის/სპეციალიზებული ავტომანქანის საშუალებით, თუმცა აღნიშნული პროცესები და შედეგები არ ფორმდება ინვენტარიზაციის ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად.

[7] ინვენტარიზაციის ინსტრუქციის მუხლი 5, პუნქტი 1.

[8] ინვენტარიზაციის ინსტრუქციის დანართი - ფორმა N16.

[9] დაკარგულ აქტივთან დაკავშირებით აუდიტის მიმდინარეობისას სამართალდამცავი ორგანოებისგან მოპოვებულია ცნობა (შსს-გან ცნობა N MIA 42302642569; 11.09.2023), სადაც აღნიშნულია, რომ დაწყებულია გამოძიება დანაკლისთან დაკავშირებით.

[10] 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

[11] 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

[12] ინვენტარიზაციის ინსტრუქციის დანართი - ფორმა N1.

მიზეზი	ინვენტარიზაციის მოთხოვნების გაუთვალისწინებლობა, გაუფასურების ტესტირების ჩაუტარებლობა.
გავლენა	ფინანსურ ანგარიშგებაში შესაძლოა არსებობდეს ისეთი დაუმთავრებელი აქტივები, რომელთა შემდგომში გამოყენება არ არის მოსალოდნელი.
რეკომენდაცია	**ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენისათვის, მნიშვნელოვანია სამინისტროს სტრუქტურაში შემავალმა ორგანიზაციებმა ინვენტარიზაცია ჩაატარონ ინვენტარიზაციის ინსტრუქციის შესაბამისად, მათ შორის, დაიცვან ინვენტარიზაციის ჩატარების ვადები, დოკუმენტაციის გაფორმების ტექნიკური საკითხები. მნიშველოვანია ინვენტარიზაციამ მოიცვას კანონმდელობით განსაზღვრული ყველა აქტივი, ასევე აქტივების არსებობის დადასტურებასთან ერთად ინვენტარიზაციის პერიოდში ყურადღება უნდა მიექცეს არაფინანსური აქტივების ხარისხობრივ მახასიათებლებს, მათ შორის, უნდა შეფასდეს აქტივების შემდგომი გამოყენების, ჩამოწერის და გაუფასურების საკითხები.**
კომპონენტი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდი, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

სამშენებლო სამუშაოებზე ზედამხედველობის თანხების მიკუთვნება

აუდიტის მიგნება	სამინისტროში მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები კეთდება მუნიციპალური განვითარების ფონდში, სააღრიცხვო პოლიტიკა და შეფასებები დაკავშირებულია ზედამხედველობის თანხების სამშენებლო პროექტების მიხედვით გადანაწილებასთან. ფონდში არსებული მიდგომის მიხედვით, ზედამხედველობის თანხების სამშენებლო პროექტებზე მიკუთვნება ხდება სამშენებლო სამუშაოების ღირებულების 7%-ის ოდენობით. საანგარიშგებო პერიოდში სამშენებლო პროექტებზე განაწილებულია 3,672,440 ლარის ზედამხედველობის ხარჯი, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრისათვის გადასანაწილებელი თანხა 20,314,352 ლარია. ზედამხედველობის თანხების სამშენებლო პროექტების მიხედვით განაწილების პოლიტიკა არ არის განსაზღვრული დამტკიცებულ სააღრიცხვო პოლიტიკის დოკუმენტში, ხოლო საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია გამოყენებული მიდგომის შესაბამისად გაკეთებული სააღრიცხვო შეფასების შესახებ.[13]
მიზეზი	აღრიცხვის არასათანადო პრაქტიკა.
გავლენა	ინფორმაცია არ არის მიწოდებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის და შეფასებების შესახებ.
რეკომენდაცია	**ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენისათვის, ანგარიშგების მომხმარებლებისათვის მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და შეფასებებზე ინფორმაციის მიწოდებისათვის, მუნიციპლური განვითარების ფონდმა/სამინსიტრომ სააღრიცხვო პოლიტიკაში გაწეროს არსებული მიდგომა სამშენებლო სამუშაოებზე ზედამხედველობის თანხების გადანაწილებასთან**

[13] 7%-იანი მიდგომა

	დაკავშირებით, ფინანსურ ანგარიშგებაში გაამჟღავნოს ინფორმაცია არსებული სააღრიცხვო შეფასების და მიდგომის შესახებ, თუ შესაძლებელია მუნიციპალური განვითარების ფონდმა მომწოდებელი ორგანიზაციებისგან მოიპოვოს ინფორმაცია კონკრეტულ ობიექტებზე გაწეული ხარჯების შესახებ.
კომპონენტი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდი.

სასამართლო დავები

აუდიტის მიგნება	სამინისტროს დაქვემდებარებულ უწყებებში არ არის ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი მიდგომა სასამართლო დავების მოსალოდნელი შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით. სამინისტროში არ არის ფორმალიზებული საფინანსო და იურიდიულ სამსახურებს შორის კომუნიკაციის წესი და პირობები, სრულყოფილად არ ხდება სასამართლო დავების მოსალოდნელი შედეგების შეფასება და ფინანსურ ანგარიშგებაში მოთხოვნების, ვალდებულებების, პირობითი აქტივებისა და პირობითი ვალდებულებების ასახვა.
მიზეზი	აღრიცხვის არასათანადო პრაქტიკა
გავლენა	2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში სასამართლო დავებთან დაკავშირებული მოთხოვნები, ვალდებულებები და პირობითი აქტივები/ვალდებულებები არ არის აღრიცხული აღრიცხვის ინსტრუქციის შესაბამისად.
რეკომენდაცია	**ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სტრუქტურულმა ერთეულებმა შეაფასონ და აღრიცხვის ინსტრუქციის შესაბამისად აღრიცხონ სასამართლო დავების მოსალოდნელი შედეგები.**
კომპონენტი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდი, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, სამინისტროს აპარატი.

2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები

მოკლევადიანი მიმდინარე დავალიანებები

აუდიტის მიგნება	ფონდის მიერ 2022 წელს არ არის აღრიცხული 2022 წლის 28 დეკემბერს გამოთხოვილი გარანტიის თანხა – 797,000 ლარის ოდენობით, გატარება შესრულებულია 2023 წლის 4 იანვარს, შესაბამისად, „მოკლევადიანი მიმდინარე დებიტორული დავალიანების“ მუხლი შემცირებულია 797,000 ლარით.
კომპონენტი, სადაც გამოვლინდა დარღვევა	სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდი.

მიმდინარე ანარიცხები

აუდიტის მიგნება	სამინისტროს დამტკიცებულ სააღრიცხვო პოლიტიკაში მოცემულია კრიტერიუმები ვალდებულებების და ანარიცხების აღრიცხვასთან და პირობითი ვალდებულებების და პირობითი აქტივების განმარტებით შენიშვნებში ჩვენებასთან დაკავშირებით. აღნიშნული კრიტერიუმების შესაბამისად, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „მიმდინარე ანარიცხების“ მუხლი 2,303,077 ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი.
კომპონენტი, სადაც გამოვლინდა დარღვევა	სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდი

ხარისხის უზრუნველყოფისათვის დაკავებული თანხები

აუდიტის მიგნება	ფონდს „სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებების“ და „მოკლევადიან (მიმდინარე) კრედიტორულ დავალიანებების“ მუხლებზე აღრიცხული აქვს, შესაბამისად, 968,478 ლარის[14] და 963,239 ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულებულ სამუშაოებზე მომწოდებლებისთვის ხარისხის უზრუნველყოფისთვის დაკავებული თანხები. გრძელვადიანი ვალდებულებები მოიცავს 2010-2019 წლებში წარმოშობილ ნაშთებს. აღნიშნული თანხებთან დაკავშირებით კონტრაქტები შეწყვეტილია, გრძელვადიანი ვალდებულების ანგარიშზე დეფექტების აღმოფხვრის პერიოდის გონივრული ვადაც ამოწურულია, ხოლო მოკლევადიან ვალდებულებებთან დაკავშირებით ვალდებულებების დაფარვის ალბათობა – მცირეა. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის N364 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, აღნიშნული ვალდებულებები ექვემდებარება შემოწმებას, ვალდებულებების დაფარვის ალბათობის შეფასებას და საანგარიშგებო პერიოდისთვის ვალდებულებების აღიარების კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენას.
კომპონენტი, სადაც გამოვლინდა დარღვევა	სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდი.

[14] 2021 წელს - 1,981,102 ლარი.

შემოსავლები შიდა ტრანსფერებით და შიდა ტრანსფერებით ხარჯები

აუდიტის მიგნება	**დეპარტამენტს** გრანტის სახით მიღებული შემოსავალი 4,890,332 ლარის ოდენობით ასახული აქვს დუბლირებულად.[15] **შედეგად, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში – „შემოსავლები შიდა ტრანსფერებით“ და „შიდა ტრანსფერებით ხარჯები“ გაზრდილია 4,890,332 ლარით.**
კომპონენტი, სადაც გამოვლინდა დარღვევა	საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

შემოსავლები სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით

აუდიტის მიგნება	**ფონდმა** 2022 წელს მოთხოვნების ანგარიშზე აღრიცხა 3,064,124 ლარის ოდენობის თანხა, რომელიც უკავშირდება ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო საგარანტიო თანხების გამოთხოვას. ფონდმა აღნიშნული თანხა შემოსავლის ნაცვლად ასახა ვალდებულებებში, რაც არ შეესაბამება აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნებს.[16] **შედეგად, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული „შემოსავლები სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით“ შემცირებულია 3,064,124 ლარით.**
კომპონენტი, სადაც გამოვლინდა დარღვევა	სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდი.

გრანტის ხარჯები

აუდიტის მიგნება	დეპარტამენტში, 2022 წლის 18 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტით, დასრულებული სამუშაოების მიმღებმა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, ქალაქ გორში, წმინდაწყლის დასახლებაში მდინარე ლიახვის ნაპირსამაგრი 1,611,503 ლარის სამუშაოების ექსპლუატაციაში მიღებისა და ბალანსზე აყვანის მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველობისათვის გადაცემის შესახებ. გადაწყვეტილებას კომისიის წევრის სახით ხელს აწერს გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელიც. სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებზე სასაქონლო ფორმით გაცემული კაპიტალური გრანტების სახით ადგილობრივი თვითმმართველობისათვის აღნიშნული აქტივის გადაცემა, ბუღალტრულად ნაცვლად 2022 წლისა, აღრიცხულია 2023 წლის იანვარში.
კომპონენტი, სადაც გამოვლინდა დარღვევა	საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

[15] ერთი მხრივ, შემოსავლები გრანტებიდან და ხარჯების და ავანსების ანგარიშზე, ხოლო, მეორე მხრივ, შემოსავლები შიდა ტრანსფერებით და შიდა ტრანსფერებით ხარჯების ანგარიშებზე.
[16] მუხლი 9, პუნქტი 11.

აუდიტის მიგნება	**შესაძლო გაუფასურებული მარაგები** დეპარტამენტის ფინანსურ ანგარიშგებაში „მატერიალური მარაგების“ მუხლის ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 5,696,555 ლარს, საიდანაც 1,254,432 ლარის საბალანსო ღირებულების მეორადი დანიშნულებით გამოყენების მქონე სამშენებლო მასალებთან დაკავშირებით არ ფიქსირდება ბრუნვა.[17] ინვენტარიზაციის მასალების მიხედვით, აღნიშნული მარაგებიდან 753,558 ლარის მარაგები გადაცემულია ექსპერტიზაზე ვარგისიანობის დასადგენად. ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილ მარაგებზე ვარგისიანობა ექსპერტიზის მიერ დადგენილია 2023 წლის ბოლოს და დეპარტამენტის განმარტებით, მარაგები ჩამოწერილია 2023 წელს. შესაძლო გაუფასურებული/უვარგისი და ჩამოსაწერი მარაგების შესახებ ინფორმაცია არ არის ასახული 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში. **განმარტებითი შენიშვნა N22 – სახელმწიფოს სახელით ადმინისტრირებადი კატეგორიები** განმარტებითი შენიშვნა N22 არ არის მომზადებული „აღრიცხვის ინსტრუქციის, საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის“ შესახებ დამტკიცებული ინსტრუქციის[18] და „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ“ დამტკიცებული ინსტრუქციის[19] მოთხოვნების გათვალისწინებით. კერძოდ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა N22-ში ფიქსირდება შეუსაბამობები შენიშვნაში მოცემულ თანხებსა და ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-სა და ფორმა N2-ში აღრიცხულ თანხებს შორის, ზოგიერთ შემთხვევაში შენიშვნაში არსებული თანხები მეტობითაა წარმოდგენილი, ვიდრე ფინანსური მდგომარეობის და ფინანსური შედეგების ანგარიშგებაშია მოცემული, შენიშვნა N22-ში არაა გამორიცხული შიდა ჯგუფური ოპერაციები, ასევე ერთ შემთხვევაში ფიქსირდება კლასიფიკაციის შეუსაბამობა.[20] **განმარტებითი შენიშვნა N11 – სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები** **ფონდში** – ქ. თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის, მე-200 და 55-ე საჯარო სკოლების შენობებში ენერგოეფექტურობის კომპონენტის გაძლიერებისთვის დიზაინი და მშენებლობა კლასიფიცირებულია როგორც „დაუმთავრებელი მშენებლობა“, მოწოდებული დოკუმენტაციის მიხედვით კი, პროექტი დასრულებულია. შედეგად, განმარტებით შენიშვნა N11-ში არსებული „დაუმთავრებელი მშენებლობის“ ანგარიში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაზრდილია 3,056,117 ლარით, ხოლო „აქტივები, რომელთა საკუთრების უფლება ჯერ არ არის მოპოვებული ან სხვა ერთეულებზე გადასაცემადაა მიღებული/განკუთვნილი“, შემცირებულია ამავე ღირებულებით.

[17] 2 წლის განმავლობაში.

[18] ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის N24 ბრძანება.

[19] ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანება.

[20] „გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ მუხლის თანხა მიკუთვნებულია „საინვესტიციო ქონების“ მუხლისათვის.

კომპონენტი, სადაც გამოვლინდა დარღვევა	სამინისტროს აპარატი, სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდი, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

3. კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობის საკითხები

3.1 შრომის ანაზღაურება

აუდიტის მიგნება	ფონდში მთავრობის განკარგულებით განისაზღვრა საშტატო ნუსხა და სახელფასო ფონდი, სადაც მოცემულია შტატით გათვალისწინებული თანამდებობების დასახელება, რაოდენობა და შესაბამისი თანამდებობრივი სარგო. ფონდში მთავრობის განკარგულების საფუძველზე დამატებით არ დამტკიცებულა დეტალური საშტატო ნუსხა, სადაც მითითებული იქნებოდა შესაბამისი დეპარტამენტები და თანამშრომელთა თანამდებობები. ფონდის შრომის ანაზღაურების უწყისებში ასახული თანამდებობები ზოგიერთ შემთხვევაში არ შეესაბამებოდა მთავრობის განკარგულებით განსაზღვრულ თანამდებობებს. აღნიშნულ საკითხზე გაცემული იყო რეკომენდაცია 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დროს, რაც გათვალისწინებულია 2023 წლის საშტატო ნუსხის დამტკიცებისას.
კომპონენტი, სადაც გამოვლინდა დარღვევა	სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდი.

4. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, მიზანშეწონილია დეპარტამენტმა „მარაგების“ მუხლში აღრიცხული დროებითი ხიდები შეაფასოს მისი რეალური ღირებულებით, განსაზღვროს შესაბამისი მომსახურების ვადა და აღრიცხოს ძირითად აქტივად. ამასთანავე, ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის და აქტივების ეფექტიანი მართვის მიზნით, მიზანშეწონილია სამინისტრომ უზრუნველყოს მომავალი გამოყენებისთვის იდენტიფიცირება უსარგებლო აქტივებსა და გამოუსადეგარ ქონებასთან დაკავშირებით, შეაფასოს მათი შემდგომი განკარგვის საუკეთესო ალტერნატივები.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული.

რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია მუნიციპალური განვითარების ფონდმა სრულფასოვნად ჩაატაროს დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების ინვენტარიზაცია, რის შედეგადაც დადგინდება დაუმთავრებელი აქტივების წარმოშობის საფუძვლები, სტატუსი და შემდგომში მათი ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობა, ხოლო ისეთი აქტივების იდენტიფიკაციის შემთხვევაში, რომელთა მომავალში გამოყენება შეუძლებელია, იმსჯელოს გამომწვევ მიზეზებზე და იმოქმედოს კანონმდებლობის შესაბამისად.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული.

რეკომენდაცია	აქტივების მართვაში არსებული ნაკლოვანებების გამოსავლენად და ფინანსური აქტივების დაკარგვის რისკის შესამცირებლად, სამინისტროს სტრუქტურაში შემავალმა ორგანიზაციებმა ინვენტარიზაცია უნდა ჩაატარონ ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის N364 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის მოთხოვნათა შესაბამისად.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული.

რეკომენდაცია	იმ მიზნით, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში სრულყოფილად აისახოს განხორციელებული ეკონომიკური მოვლენების შესაბამისი ინფორმაცია, მნიშვნელოვანია, სსიპ – ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრმა ფინანსურ ჩანაწერებში სრულად ასახოს არსებული ინფორმაცია.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული.

რეკომენდაცია	მნიშვნელოვანია ფონდის დეტალური საშტატო ნუსხა, სადაც მითითებული იქნება შესაბამისი დეპარტამენტები და თანამშრომელთა თანამდებობები, მტკიცდებოდეს „საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის შეთანხმების თაობაზე“ მთავრობის განკარგულების საფუძველზე.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული.

საკონტაქტო ინფორმაცია

გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესზე პასუხისმგებელი პირი	**გიორგი ჭოლოკავა** ელფოსტის მისამართი: gcholokava@sao.ge
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემა	https://aris.sao.ge/
ვებგვერდი და სოციალური მედია	https://www.sao.ge/ https://www.budgetmonitor.ge/ka http://www.blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელფოსტის მისამართი	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38
SAO.GE